ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N13

(მომსახურების შესყიდვა)

ფოთი 24 თებერვალი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი მისი დირექტორის გელა დუნდუას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "აუდიტორული ფირმა" პულსი-XXI " მისი დირექტორის ედიშერ ბულიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.2,,შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის ა.ა.ი.პ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის 2016 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორულ შემოწმებას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას (შემდეგში „მომსახურება').

1.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შეიძლება განხორციელდეს 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 **შესყიდვის ობიექტი** - აუდიტორული შემოწმება

2.2 **შესყიდვის საშუალება** - გამარტივებული შესყიდვის საშუალება.

შესყიდვის კატეგორია - 79200000-საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 79212000 - აუდიტორული მომსახურება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 აუდიტორული მომსახურების ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

- მომსახურების დაწყება - 2017 წლის 24 თებერვალი.
- მომსახურების დამთავრება - 2017 წლის 31 მარტი.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი) და ანგარიშფაქტურა(ინვოისი).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - დირექტორი.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების - 0,2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0,2%-ს. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 30 კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.3 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

10.4 სათანადო წესით შედგენილი, ოფიციალური საბუთი-აუდიტორული დასკვნა, შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იქნას 3 (სამი) ეგზემპლარად.

10.5 აუდიტორიული მომსახურება უნდა განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ"საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.6 მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემოწმების დამადასტურებელი აქტის, რეკომენდაციის, დასკვნების, მიწოდება შემსყიდველისთვის.

10.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.9 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ა.ა.ი.პ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოებისმოვლა–პატრონობის ცენტრი

ს/კ 415092919

დირექტორი გელა დუნდუა

„მიმწოდებელი"
შპს აუდიტორული ფირმა „პულსი-XXI"

მის: საქართველო, ქალაქი ზუგდიდი, ქუჯის ქუჩა N8/64
სს „ბანკი რესპუბლიკა ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი"
ბ/კ **REPLGE22**
ა/ა
GE13BR0000010671126646
ს/კ № **419982077**

დირექტორი ედიშერ ბულია